ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

სამახსოვრო ინსტრუქცია

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს

სამახსოვრო ინსტრუქცია განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

არჩევნებში
2024

საქართველოს პარლამენტის
2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები და
მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი
ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნები

წინამდებარე რესურსი მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

დოკუმენტი წარმოადგენს დამხმარე რესურსს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კომისიის მდივანს, კენჭისყრის დღეს, საქმიანობა წარმართოს ორგანიზებულად და თანმიმდევრულად.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წეს-თან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ცესკოს 2024 წლის 16 აგვისტოს N35/2024 დადგენილება „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

6:45 საათიდან

- ☐ გახსენით ჩანაწერთა წიგნი და პირველ გვერდზე შეიტანეთ საარჩევნო უბნის გახსნისას კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი (მათი ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტების მითითებით). კომისიის წევრები ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციას ადასტურებენ ხელმოწერით.

ჩანაწეhთა წიგნის შესაბამისი გვეhდის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი **№112.07** **საარჩევნო უბანი**

საარჩევნო უბნის გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები

№	სახელი, გვარი	სტატუსი	წარმდგენის დასახელება	ხელმოწერა
1	ნინო ნინოძვილი	თავმჯდომარე	საოლქო საარჩევნო კომისია	ნ. ნინოძვილი
2	გიორგი გიორგაძე	მოადგილე	საოლქო საარჩევნო კომისია	გ. გიორგაძე
3	დავით დავითაყლიანი	მდივანი	საოლქო საარჩევნო კომისია	დ. დავითაყლიანი
4	ინა ინაძვილი	კომისიის წევრი	საოლქო საარჩევნო კომისია	ი. ინაძვილი
5	ბალთაძე ბოლოთაონიძე	კომისიის წევრი	პოლიციაყური პაემცია 111	ბ. ბალთაძე
6	შოთა შოთაძვილი	კომისიის წევრი	პოლიციაყური პაემცია 112	შ. შოთაძვილი
7	გელა გელაძვილი	კომისიის წევრი	პოლიციაყური პაემცია 113	გ. გელაძვილი
8	ბვენ ფაბცენდინგი	ბეენი დამკვირვებელი	ბეენთაძორმინო ორგანიზაცია	s. fasterding
9	ცოცნე ლეკლაშიანი	მოლია	ცოლეკიშია „ნაოლი ძზერა"	ც. ლეკლაშიანი
10	გიორგი ბერეძე	ადგილ. დამკვირვებელი	აეიპ „ამომავლის იმედი"	გ. ბერეძე
11	ნაცა ყარცაძე	პარტიის წევრობადგენელი	პოლიციაყური პაემცია 113	ნ. ყარცაძე

- ☐ ყურადღება მიაქციეთ, რომ კომისიის ყველა წევრი აღჭურვილი იყოს სპეციალური ფორმით და ატარებდეს ვინაობის, სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს.

- ☐ შეამოწმეთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების სამკერდე ნიშნის გაცემის ვადა და მასზე მითითებული სტატუსი. შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, ჩანაწერთა წიგნის პირველ გვერდზე, საჭიროების შემთხვევაში მე-2 და მე-10 გვერდებზე, შეიტანეთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების სახელი და გვარი (მათი წარმდგენი ორგანიზაციის/საარჩევნო სუბიექტის მითითებით). აღნიშნული პირები ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციას ადასტურებენ ხელმოწერით.

- ☐ კენჭისყრის შენობაში დაშვების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მიუთითეთ პირს დატოვოს კენჭისყრის შენობა.

- ☐ კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების შედეგები, რომელიც ასახულია აღნიშნული ფუნქციის გასანაწილებლად კენჭისყრის დღემდე ჩატარებული წილისყრის შედეგების აქტში, შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

ჩანაწეხთა წიგნის შესაბამისი გვეხდის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი №112.07 საარჩევნო უბანი

კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიისა და სპეცჯგუფის წევრთა შორის წილისყრით ფუნქციათა განაწილების შედეგები

№	კომისიის/სპეცჯგუფის წევრის ფუნქცია	კომისიის/სპეცჯგუფის წევრის სახელი, გვარი	კომისიის/სპეცჯგუფის წევრის ხელმოწერა
1.	I გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები	დოდო დოლიძე	დ. დოლიძე
2.	I გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები	თაძარ თათიკოლაშვილი	თ. თათიკოლაშვილი
3.	II გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები	ცაცო ცაცუკოაშვილი	ც. ცაცუკოაშვილი
4.	II გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები *(სპეცჯგუფი)*	ჯილდა ეაბაიძე	ჯ. ეაბაიძე
5.	II გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები *(სპეცჯგუფი)*	ვიოლა აბაშიძე	ვ. აბაშიძე
6.	ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი	ნიკოლოზ აბაშიძე	ნ. აბაშიძე
7.	I რეგისტრატორი	ინა ინაშვილი	ი. ინაშვილი
8.	II რეგისტრატორი	ლალი ლალიაშვილი	ლ. ლალიაშვილი
9.	III რეგისტრატორი	დავით დავითაძე	დ. დავითაძე
10.	IV რეგისტრატორი	ნიკოლოზ ნიკვაშვილი	ნ. ნიკვაშვილი

- ☐ აღნიშნეთ კომისიის წევრისთვის მინიჭებული ფუნქციის სხვა წევრისთვის დროებით გადაცემა, დროის მითითებით, ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე. კომისიის წევრს ხელმოწერით დაადასტურებინეთ ფუნქციის გადაცემის ფაქტი.

ჩანაწეხთა წიგნის შესაბამისი გვეხდის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი №112.07 საარჩევნო უბანი

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის წილისყრით დადგენილ ფუნქციათა დროებით სხვა წევრზე გადაცემის შესახებ ინფორმაცია

№	კომისიის წევრის სახელი, გვარი	კომისიის წევრის ფუნქცია	ფუნქციის დროებითი შემსრულებელი კომისიის წევრის სახელი, გვარი	ფუნქციის დროებით გადაცემის დრო (სთ. წთ.)	ფუნქციის დაბრუნების დრო (სთ. წთ.)	ხელმოწერა
1	ლალი ლალიაშვილი	რეგისტრატორი	ნანა ნანეიშვილი	19.45	20.00	ლ. ლალიაშვილი

- ☐ კომისიის სპეციალური ბეჭდის ნომერი მიუთითეთ მე-9 გვერდზე.

- ☐ კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში და ჩანაწერთა წიგნში შეიტანეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე, ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიანი სიის მიხედვით, ასევე, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით (ასეთის არსებობისას).

  სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში და ჩანაწერთა წიგნში შეიტანეთ კენჭისყრის დასრულების შემდგომ.

- ☐ შეინახეთ ვერიფიკაციის აპარატებიდან ამობეჭდილი საწყისი ანგარიშის დამადასტურებელი ქვითრები (დასტურდება, რომ აპარატებით არცერთი ამომრჩევლის ვერიფიკაცია არ მომხდარა).

- ☐ კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, სადემონსტრაციო ოქმებთან გამოაკარით ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩეველთა სია.

- ☐ კომისიის თავმჯდომარესთან ერთად მოაწერეთ ხელი ხმის დათვლის სპეციალური აპარატებიდან ამობეჭდილ „ნულოვანი ამონაწერის“ ქვითრებს და შეინახეთ აღნიშნული დოკუმენტაცია.

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეიტანეთ საარჩევნო ყუთების ინდივიდუალური ლუქების ნომრები და დალუქვის ზუსტი დრო. ამავე გვერდზე კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ხელმოწერებით დაადასტურეთ ცარიელი საარჩევნო ყუთების დალუქვა და ინფორმაცია, რომ ხმის დათვლის სპეციალური აპარატების საშუალებით არცერთ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა.

ჩანაწერთა წიგნის შესაბამისი გვერდის ნიმუში

საარჩევნო ყუთების დალუქვის მონაცემები	
საარჩევნო ყუთების დალუქვის დრო	07 სთ. 30 წთ.
I ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქების ნომრები	1 2 3 4 5 6 7 1 2 3 4 5 6 9 1 2 3 4 5 6 8 1 2 3 4 5 6 2 1 2 3 4 5 6 0
II ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქების ნომრები	1 2 4 4 5 6 7 6 2 3 4 5 6 9 1 4 3 4 5 6 8 4 2 3 4 5 6 2 1 2 5 4 4 6 0
I გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქების ნომრები	1 2 3 4 5 6 1 5 3 4 5 6
II გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქების ნომრები	1 2 3 4 7 6 1 5 3 4 7 6

დალუქული ყუთები ცარიელია და დალუქვის მომენტისათვის ხმის მიცემის აპარატის საშუალებით არცერთ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა

კომისიის თავმჯდომარე ბ. ბაბალაური ხელმოწერა

კომისიის მდივანი ვ. ვეფხვაძე ხელმოწერა

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეიტანეთ ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი გაუმჭვირვალე ყუთის ლუქების ინდივიდუალური ნომრები, იმ რეგისტრატორების მონაცემებით (სახელი, გვარი), რომლებსაც გადაეცათ ყუთები. ყუთის მიღებას შესაბამისი რეგისტრატორი ადასტურებს ხელმოწერით.

ჩანაწერთა წიგნის შესაბამისი გვერდის ნიმუში

ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი ყუთის/ყუთების დალუქვის მონაცემები/ყუთის მიღების დადასტურება			
კომისიის წევრის ფუნქცია	ლუქების ნომრები	სახელი და გვარი	ხელმოწერა
I რეგისტრატორი	1 2 1 2 1 2 1 2 1 2 1 5	ნიკოლოზ ნიკვაძვილი	ნ. ნიკვაძვილი
II რეგისტრატორი	1 2 1 1 1 3 1 2 1 1 1 6	ზვიად ზვიადაძე	ზ. ზვიადაძე
III რეგისტრატორი	1 1 1 2 1 4 1 1 1 2 1 7	ალოძე ალოძინაძე	ა. ალოძინაძე
IV რეგისტრატორი	7 2 1 2 1 5 2 2 1 2 1 5	მიმინ მიმინაძვილი	მ. მიმინაძვილი
V რეგისტრატორი			

08:00 საათიდან, ხმის მიცემის პროცესის მიმდინარეობისას გაითვალისწინეთ

თუ მარკირების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მისი ვინაობა მიუთითეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

თუ ამომრჩევლის სახე პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის 29-31 გვერდებზე უნდა შეიტანოთ შესაბამისი მონაცემები და დაადასტუროთ ხელმოწერით. ჩანაწერთა წიგნს უნდა დაურთოთ თქვენ მიერ ხელმოწერით დადასტურებული ამომრჩევლის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

თუ ვერიფიკაციის აპარატიდან არ ამოიბეჭდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი, ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნით, ასეთ შემთხვევაში ავსებთ ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ აქტს, რომელში უნდა შეიტანოთ შესაბამისი ამომრჩევლის მონაცემები. ამომრჩეველი, ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად, ხელს აწერს აღნიშნულ აქტს. ჩანაწერთა წიგნს დაურთეთ შესაბამისი ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის გაგრძელება, შესაბამისი აპარატის/აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე შეადგინეთ აქტი (ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი) და შესაბამის ჩანაწერი შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნის 32-ე გვერდზე.

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში იხელმძღვანელოთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის N2 დანართით, გვერდი 74-82.

ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში იხელმძღვანელოთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის N2 დანართით, გვერდი 83-84.

09:00 საათიდან

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეიტანეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისთვის/სპეცჯგუფის წევრებისთვის (ასეთის არსებობისას) გადაცემული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების რაოდენობა, ასევე გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბნიდან წაღების დრო.

ჩანაწეhთა წიგნის შესაბამისი გვეhდის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი №112.07 საარჩევნო უბანი

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიისა და სპეცჯგუფის წევრთათვის
გადაცემული საარჩევნო დოკუმენტაციის აღრიცხვა

	დასახელება	რაოდენობა		
		I ყუთი	II ყუთი	III ყუთი
1	ამომრჩეველთა რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში	25	15	
2	გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა	24	14	
3	გადაცემული სპეციალური ჩარჩო-კონვერტების რაოდენობა	25	15	
4	გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა			
5	*გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელმოწერების რაოდენობა*			
6	უბნიდან **წაღების** დრო	09 სთ. 30 წთ.	09 სთ. 30 წთ.	___სთ. ___ წთ.
	უბანში **დაბრუნების** დრო	___სთ. ___ წთ.	___სთ. ___ წთ.	___სთ. ___ წთ.

12:00 საათი

- ☐ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში.

17:00 საათი

- ☐ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში.

20:00 საათამდე

- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნებისთანავე შეამოწმეთ გადასატანი ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების, გამოუყენებელი ან/და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორე. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გადასატანი ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა/სპეცჯგუფის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით.

  ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები, გაითვალისწინება კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის მიზნებისთვის.

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეიტანეთ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა გადასატანი ყუთის სიაში, გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე საარჩევნო უბანში გადასატანი საარჩევნო ყუთის დაბრუნების დრო.

ჩანაწეხთა წიგნის შესაბამისი გვეხდის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი №112.07 საარჩევნო უბანი

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიისა და სპეცჯგუფის წევრთათვის გადაცემული საარჩევნო დოკუმენტაციის აღრიცხვა

	დასახელება	რაოდენობა		
		I ყუთი	II ყუთი	III ყუთი
1	ამომრჩეველთა რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში	25	15	
2	გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა	24	14	
3	გადაცემული სპეციალური ჩარჩო-კონვერტების რაოდენობა	25	15	
4	გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა	2	2	
5	*გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელმოწერების რაოდენობა*	25	15	
6	უბნიდან **წაღების** დრო	09 სთ. 30 წთ.	09 სთ. 30 წთ.	__ სთ. __ წთ.
	უბანში **დაბრუნების** დრო	14 სთ. 45 წთ.	16 სთ. 40 წთ.	__ სთ. __ წთ.

20:00 საათიდან ძირითადი ყუთის გახსნამდე

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეიტანეთ 20:00 საათისთვის რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობა (ასეთის არსებობისას).
- ☐ კენჭისყრის დასრულებისთანავე, ჩანაწერთა წიგნის 26-ე, 27-ე გვერდებზე შეიტანეთ ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის წევრების სახელი, გვარი (ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტების და საკონტაქტო ტელეფონის ნომრის მითითებით), ასევე, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირების სახელი, გვარი (წარმდგენი ორგანიზაციის ან საარჩევნო სუბიექტის და საკონტაქტო ტელეფონის ნომრის მითითებით). აღნიშნული პირები ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციას ადასტურებენ ხელმოწერით.

ჩანაწეhთა წიგნის შესაბამისი გვეhდის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი №112.07 საარჩევნო უბანი

ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა მონაცემები

№	სახელი, გვარი	სტატუსი	წარმდგენის დასახელება	ტელეფონი	ხელმოწერა
1	ნინო ნინოძეილი	თავმჯდომარე	საოლქო საარჩევნო კომისია	551526936	ნ. ნინოძეილი
2	ეიორი ეიორეაძე	მოადგილე	საოლქო საარჩევნო კომისია	558956321	ე. ეიორეაძე
3	დავით დავითაული	მდივანი	საოლქო საარჩევნო კომისია	599896523	დ. დავითაული
4	ალეთა ალეთინაძე	კომისიის წევრი	პოლიტიკური პარტია III	598784631	ა. ალეთინაძე
5	ეიორი ჭრიაძე	აღგილ დამკვირვებელ	აიპ „მომავლის იმედი"	599814523	ე. ჭრიაძე
6	ნაცა აბრამაძე	სტუდენტ წარმომადგენელ	პოლიტიკური პარტია 119	571120595	ნ. აბრამაძე

- ☐ შეინახეთ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადმოცემული ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ამსახველი საბოლოო ქვითარი/ანგარიში.
- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-8 გვერდზე შეიტანეთ თითოეული რეგისტრატორის მიერ აღრიცხული იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა სპეციალური სიით მიიღეს და რომლებსაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ (ასეთის არსებობისას).

№ 112 საარჩევნო ოლქი	№112.07	საარჩევნო უბანი
კენჭისყრაში მონაწილე სპეციალურ სიაში შეყვანილ იმ ამომრჩეველთა ჯამური რაოდენობა, რომელთაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ		

- ☐ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობა შეიტანეთ კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებსა და ჩანაწერთა წიგნში.

ყურადღება!

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობაში არ გაითვალისწინება იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა სპეციალური სიით მიიღეს და რომლებსაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

- ☐ იმ შემთხვევაში, თუ გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში აღმოჩნდება დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი, ან ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ საარჩევნო ბიულეტენს, ფაქტთან დაკავშირებით შეადგინეთ აქტი, რომელსაც კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და სპეცჯგუფის წევრები (ასეთის არსებობისას). საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი აქტი შეინახეთ ჩანაწერთა წიგნში.
- ☐ თუ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩნდება სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ან დაუდგენელი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი, მათი რაოდენობა არ მიეთითება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში, აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიუთითოთ მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში.
- ☐ კომისიის თავმჯდომარესთან ერთად მოაწერეთ ხელი სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილ წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერს. ამონაწერი მოწმდება

კომისიის ბეჭდით. ერთი ეგზემპლარი შეინახეთ ჩანაწერთა წიგნში, მეორე ეგზემპლარი გამოაკარით საჯარო გაცნობისათვის. ამასთან, წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერთან ერთად თვალსაჩინო ადგილზე გამოაკარით საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი აქტის დამოწმებული ასლიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შედგა გადასატანი საარჩევნო ყუთიდან საარჩევნო ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გამო.

- ☐ ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეიტანეთ:
  - ✓ კომისიის წევრთა შორის მთვლელის ფუნქციების განაწილების შედეგები;
  - ✓ წილისყრით გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაცემები, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში;
  - ✓ დამკვირვებლებისგან გამოვლენილი მეთვალყურეების მონაცემები.

ჩანაწეხთა წიგნის შესაბამისი გვეხდის ნიმუში

ხმების დათვლის პროცედურისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის წილისყრით ფუნქციათა განაწილების შედეგები

№	კომისიის წევრის ფუნქცია	კომისიის წევრის სახელი, გვარი	კომისიის წევრის ხელმოწერა
1.	I მთვლელი	ინა ინაძეიული	ი. ინაძეიული
2.	II მთვლელი	ლალი ლალიაძეიული	ლი. ლალიაძეიული
3.	III მთვლელი	დავით დავითაძე	დ. დავითაძე
4.	IV მთვლელი	ნიკოლოზ ნიკვაძეიული	ნ. ნიკვაძეიული

ფუნქცია	სახელი, გვარი
ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში მონაწილე **2 წარმომადგენელი**	კარლო კანანაძე დავით ლეკდარიანი
2 მეთვალყურე, რომელიც აკვირდება დათვლის მთელ პროცედურას	ეიორეი ბერეიძე ნიკოლოზ ელოაძეიული

- ☐ ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნამდე, დალუქვის მიზნით, ცალ-ცალკე პაკეტებში მოათავსეთ:
  - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ✓ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;

- ✓ რეგისტრატორებთან არსებული გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები (პაკეტში მოთავსებამდე აღნიშნულ საარჩევნო ბიულეტენებს მოაჭერით კუთხეს).

  თითოეულ პაკეტზე მიუთითეთ საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი, საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო დოკუმენტაციის სახე.

- ☐ აღრიცხეთ იმ შემთხვევების რაოდენობა, რომლებიც ეხება ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათის ერთმანეთთან შეუსაბამობას, აგრეთვე ჩანაწერთა წიგნისთვის დართული დოკუმენტების რაოდენობა (მონაცემები შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნში). დალუქეთ აღნიშნული დოკუმენტები, დალუქულ პაკეტზე მიუთითეთ საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი, დოკუმენტების სახეობა და მოაწერეთ ხელი.

საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენა

- ☐ თითოეული სახის არჩევნების (საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს) შედეგების დათვლის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად გადაამოწმეთ მონაცემების სისწორე: თუ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამი მეტია კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობაზე, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს ხელახლა გადაითვალონ მონაცემები.

ყურადღება!

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო და ბათილი ბიულეტენების რაოდენობაში არ გაითვალისწინება იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა სპეციალური სიით მიიღეს და რომლებსაც მხოლოდ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

- ☐ თითოეული სახის არჩევნების (საქართველოს პარლამენტის,

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს) შედეგების დათვლის შემდეგ დაუყოვნებლივ შეადგინეთ აქტი, რომელშიც შეიტანება თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმებისა და ბათილი ხმების რაოდენობა. აქტს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები.

- საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგები შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმებში.
- ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით შეავსეთ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები.
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები დაამოწმეთ საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭდით. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმები რეგისტრაციაში გაატარეთ სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში.

ოქმების შედგენისას გაითვალისწინეთ!

№3, №4, №5, №6 გრაფებში, ასევე სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობის გრაფებში მოცემულ ოთხ დანაყოფიანი უჯრებიდან მეოთხე (ბოლო) უჯრაში შეიტანეთ ერთეულების თანრიგის ციფრი, მესამე უჯრაში – ათეულების თანრიგის ციფრი, მეორე უჯრაში – ასეულების თანრიგის ციფრი, პირველ უჯრაში – ათასეულების თანრიგის ციფრი;

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მონაცემების გრაფაში დარჩება ცარიელი უჯრა/უჯრები, სავალდებულოა ცარიელ უჯრაში/უჯრებში შეიტანოთ სიმბოლო „X“.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში უნდა აღნიშნოთ მისი შედგენის თარიღი და დრო (საათი და წუთი).

ნიმუში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმიდან

შედგენის თარიღი - "26" 10 2024 წ., დრო: 21 საათი 45 წუთი, კომისიის ბეჭდის ნომერი 1 1 2 0 7

აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება!

თუ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების №3, №4, №5, №6 გრაფებში, ასევე კანდიდატებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობის გრაფებში მონაცემების შეტანისას შეცდომა იქნა დაშვებული, შეცდომის გამოსასწორებლად კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ გააკეთეთ ჩანაწერი „შესწორებულია“ და კომისიის თავმჯდომარესთან ერთად შეადგინეთ შესწორების ოქმი.

შესწორების ოქმი რეგისტრაციაში გაატარეთ სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. შესწორების ოქმი დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქვისა და მასზე კომისიის ყველა წევრის მიერ ხელის მოწერის შემდეგ აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენა.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და შესწორების ოქმის ნიმუში



დანართი N14

[არჩევნების დასახელება] [კენჭისყრის თარიღი] ფორმა №1-1.10.12 განკ. /2021

საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 0007 მმფფრებელი უბნის №

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

№ 112 საარჩევნო ოლქი № 07 საარჩევნო უბანი ☐ გამმეორებითი კენჭისყრა ☐ არჩევნების მეორეული

1	ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა	1150
2	მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	1150
3	სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა	XXX4
4	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ყველა სახის ამომრჩეველთა სიაში (ა) 12:00 საათისთვის X104 (ბ) 17:00 საათისთვის X344	
5	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	X564

მიღებულ ხმათა რაოდენობა

111	საარჩევნო სუბიექტი	X184
112	საარჩევნო სუბიექტი	X184
113	საარჩევნო სუბიექტი	X184

საუბნო
პროპორციული

6	ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (სხვა უბნისათვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა არ ემატება)	XXX4

თავმჯდომარე / / თავმჯდომარის მოადგილე / /

მდივანი / /

წევრები

/	/	/	/
/	/	/	/
/	/	/	/
/	/	/	/
/	/	/	/

შედეგების თარიღი - 26 10 2024 წ., დრო: 21 საათი 15 წუთი, კომისიის ბეჭდის ნომერი 11207

№	ოქმის მოხაზვების გრაფა, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი	კომისიის წევრის სახელი და გვარი	კომისიის წევრის ხელმოწერა

განსხვავებული აზრი

ყოფილს №1-1.40.08, კან. №92/2021

№ 112 დიდგორის საარჩევნო ოლქი № 07 საარჩევნო უბანი

საკრედიტო ბიულეტენი: ☒ პროპორციული ☐ მაჟორიტარული ☐ მერი

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის

შესწორების ოქმი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილია შემდეგი შესწორებები:

			ნაცვლად რიცხვისა	უნდა ეწეროს რიცხვი
	გრაფა			
1	**ერთიან სიაში** ამომრჩეველთა რაოდენობა			
2	**მიღებული** საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა			
3	**სპეციალურ სიაში** ამომრჩეველთა რაოდენობა			
4 ა	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა ყველა საბის ამომრჩეველთა სიაში **12:00** საათისთვის			
4 ბ	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა ყველა საბის ამომრჩეველთა სიაში **17:00** საათისთვის			
5	**არჩევნებში მონაწილე** ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა		564	565
მიღებულ ხმათა რაოდენობა				
6	**ბათილად მიჩნეული** საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა			

შესწორების ოქმი

თავმჯდომარე _____ / ნინი ნინაძე / (სახელი, გვარი)

თავმჯდომარის მოადგილე _____ / მაია მაიაძე / (სახელი, გვარი)

მდივანი _____ / დავით დავითაძე / (სახელი, გვარი)

წევრები:

_____ / ნინი ნინაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ლიკა ალავიძე / (სახელი, გვარი)

_____ / ცოტნე ვირანაშვილი / (სახელი, გვარი)

_____ / მიშა მიშაძე / (სახელი, გვარი)

_____ / დავით დავითაძე / (სახელი, გვარი)

_____ / მაია მაიაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

_____ / ანა ანაძე / (სახელი, გვარი)

20 24 წლის 26 ოქტომბერი, 21 სთ. 25 წთ.

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა კომისიის სპეციალური ბეჭდის ნომრის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის თარიღის/დროის შეტანისას, ან არ მოხდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამოწმება კომისიის სპეციალური ბეჭდით და ასეთი ფორმით გაიცა მისი ფოტოასლი, ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება.

- ☐ გამოაკარით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ფოტოასლები საჯარო გაცნობისათვის. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების და შესწორების ოქმის (არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლები, კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრის ამსახველი დოკუმენტის ფოტოასლით (არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაეცით კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს.
- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების და შესწორების ოქმის (არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლების გაცემისას (მოთხოვნის შემთხვევაში) კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ხელი მოაწერეთ და დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით. გაცემული ფოტოასლები გაატარეთ ჩანაწერთა წიგნში და სარეგისტრაციო ჟურნალში და მიმღებ პირს ხელმოწერით დაადასტურებინეთ შემაჯამებელი ოქმების ფოტოასლის მიღება.

გაითვალისწინეთ!

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან/შესწორების ოქმებთან დაკავშირებული კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გაიცემა მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში.

- ☐ შემაჯამებელი ოქმების ასლების გაცემის შემდეგ, დახურეთ სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი. ამ მიზნით, სარეგისტრაციო ჟურნალსა და ჩანაწერთა წიგნში უკანასკნელი ჩანაწერის შემდგომ გააკეთეთ წარწერა „დახურულია", მიუთითეთ თარიღი, ზუსტი დრო, ჩანაწერი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად დაადასტურეთ ხელმოწერით და კომისიის სპეციალური ბეჭდით.

ჩანაწერთა წიგნის დახურვის ნიმუში

№ 112 საარჩევნო ოლქი №112.07 საარჩევნო უბანი

შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის მიღების დადასტურება

№	სახელი, გვარი	სტატუსი	წარმდგენის (ორგანიზაციის) დასახელება	ხელმოწერა
1	ნიკა ელოანიძე	აღმოჩენილ დაინტერესებული	აიპ „დემოკრატია ჩრნია"	ნ. ელოანიძე
2	ნაყლა ყარიცაძე	მოქალაქე	ცოლოვიზია „ნაოლი მზერა"	ნ. ყარიცაძე
3	კაბილო კანანაძე	საქმიანობის წარმომადგენელი	პოლიტიკური პარტია 199	კ. კანანაძე
			ნ. ნინოიძილი	
			ლ. ლავიოიოლიანი	
			ლახურულია 26.10.2024 22:00 სთ	

- ☐ ხელი მოაწერეთ ჩანაწერთა წიგნის დალუქულ პაკეტს კომისიის თავმჯდომარესთან ერთად. კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქულ პაკეტს ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

განცხადების, საჩივრის მიღებისა და რეგისტრაციის პროცესში გაითვალისწინეთ

- ☐ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელს უფლება აქვს კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივარი გადმოგცეთ თქვენ, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.
- ☐ განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში გაატარეთ სარეგისტრაციო ჟურნალსა და ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს/მომჩივანს გადაეცით ცნობა (თქვენი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი, დრო და სარეგისტრაციო ნომერი
- ☐ განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინეთ ხარვეზი და განუსაზღვრეთ გონივრული ვადა მის შესავსებად, თუ განცხადება/საჩივარი არ შეიცავს:
  - ✓ განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღსა და დროს;
  - ✓ განმცხადებლის/მომჩივნის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს;
  - ✓ საარჩევნო უბნის ნომერს;
  - ✓ მოწმის არსებობის შემთხვევაში – მის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს.

გაითვალისწინეთ!

ხარვეზის შევსების ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ვადას ერთპიროვნულად ადგენთ თქვენ ან განცხადების/საჩივრის მიმღები სხვა პირი.

- ☐ განმცხადებელს/მომჩივანს უფლება აქვს, დადგენილ ვადაში შეავსოს ხარვეზი ანალოგიური განცხადების/საჩივრის წარდგენის გზით ან წარადგინოს ახალი განცხადება (რომელშიც მიეთითება ის მონაცემები, რომელთა გამოც მას დაუდგინდა ხარვეზი). სარეგისტრაციო ჟურნალში გააკეთეთ ჩანაწერი „ხარვეზი“. ჩანაწერის გასწვრივ ხელი მოაწერეთ თქვენ და ასევე ხელი მოაწერინეთ განცხადების/საჩივრის წარმდგენს.
- ☐ ხარვეზის შევსების შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში ჩაწერეთ „შევსებულია“ და მიუთითეთ ხარვეზის შევსების ზუსტი დრო და თარიღი. ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერთ თქვენ და განცხადების/საჩივრის წარმდგენი პირი.
- ☐ განცხადებაში/საჩივარში მითითებული დარღვევის აღმოფხვრის შემთხვევაში კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში დაწერეთ „დარღვევა აღმოფხვრილია“ და მიუთითეთ ზუსტი დრო.

ჩანაწერთა წიგნის შესაბამისი გვერდის ნიმუში

კენჭისყრის პროცედურების დარღვევის შესახებ განცხადების/საჩივრის რეგისტრაცია		
რეგისტრაციის №	განცხადების/საჩივრის არსი	განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირება ზუსტი დროის მითითებით (დარღვევა აღმოფხვრილია)
2	ამომრჩეველთა ფოტოგადაღება, ანკეტის ბრალეულობა, ინფორმაციის ეფექტურობით ქოთანს ან აქციის ხელმოწერას.	ინფორმაცია ეფექტურობით ქოთანს ხელს აწერს მხოლოდ ამომრჩეველი. ფოტოგადაღება ან ანკეტის ბრალეულობა. 17:00 საათი.

გაითვალისწინეთ!

საუბნო საარჩევნო კომისია წარდგენილ განცხადებას/საჩივარს არ განიხილავს და გამოსცემს განკარგულებას განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ:

- ✓ განცხადება/საჩივარი შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- ✓ განცხადებაში/საჩივარში არ არის აღნიშნული დარღვევის არსი და ჩადენის დრო;
- ✓ განცხადება/საჩივარი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი ვადისა და წესის დარღვევით;
- ✓ დადგენილ ვადაში არ შეივსო წარდგენილი განცხადების/საჩივრის ხარვეზი.